ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. #74/ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა #72-ში, N 01.13.01.003.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ბულ მიწის ნაკვეთზე, დაპროექტებული საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

საექსპერტო დასკვნა

დამკვეთი	შპს „M სერვისი“
პროექტის ავტორი	გ. ფერაძე
ექსპერტები	ვ. ზაგაშვილი; თ. სულავა

2017

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად, ექსპერტიზისათვის გადმოიცა საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

- საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტის ზოგადი ინფორმაცია (არქიტექტურული პროექტის შემადგენლობის ჩამონათვალი; პირობითი აღნიშვნები; შენობა-ნაგებობის პროექტირების აღწერილობა; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი).
- საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი.
- მიწის ნაკვეთის გენერალური გეგმა.
- შენობა-ნაგებობის სართულის გეგმა.
- შენობა-ნაგებობის ჭრილები.
- შენობა-ნაგებობის ფასადები.
- პანდუსის დეტალური ნახაზი.

შენიშვნა:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.
- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.
- უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო მიწის ნაკვეთი (საკ. კოდით N 01.13.01.003.018) მდებარეობს ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა #74/ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა #72-ში.

მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი უტოლდება 5061 კვ.მ.-ს. მიწის ნაკვეთს სამხრეთით ესაზრვრება საზოგადოებრივი სივრცე, ხოლო დანარჩენ მხარეს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

პროექტს წინაპირობად უდევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის **№ 3508435** 01/09/2017წ. და **№ 3549091** 19/09/2017წ. (ცვლილება) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საპროექტო დავალებით გათვალისწინებულია 1 (ერთ) სართულიანი, 8.20მ. სიმაღლის საოფისე შენობის მშენებლობა.

შენობა წარმოადგენს ლითონის ფერმას. კედლების შემავსებლად გამოყენებულია სენდვიჩპანელები.

შენობაში შესვლა ხორციელდება სამხრეთ და აღმოსავლეთის მხრიდან. მთავარ შესასვლელთან მოწყობილია პანდუსები.

სარჩევი:

1. არსებული შენობისადმი მოთხოვნების შეფასება;

2. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;

3. კონსტრუქციის ტიპების შეფასება;

4. შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება;

5. ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება;

6. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სიტეტმების შეფასება;

7. გასასვლელი საშუალებების შეფასება;

8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის შეფასება;

9. წყალსადენი სისტემების შეფასება ;

10. სახურავის ანაწყობებების შეფასება;

1. არსებული შენობისადმი მოთხოვნების შეფასება:

- თანახმად 102.4 პუნქტისა, ნებისმიერ ნაგებობაში განთავსებულმა კანონიერმა დაკავებულობამ, რომელიც უკვე არსებობდა წესების მიღების დროს, დასაშვებია გააგრძელოს ფუნქციონირება უცვლელად. აღნიშნულის და 2103.1 პუნქტის შესაბამისად, არსებული შენობა, სარეკონსტრუქციო ნაწილთან ერთად უნდა აკმაყოფილებდეს ფართობთან და სიმაღლესთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რაც წარმოდგენილი პროექტით დაცულია და სრულად აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მოთხოვნებს.

- რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი, თანახმად 2111.5 პუნქტისა, სრულად აკმაყოფილებს ახალი მშენებლობისათვის განსაზღვრულ დებულებებს მისაწვდომობის კუთხით.

2 . დაკავებულობების და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს არსებულ საოფისე ფართზე დამატებითი ფართის მიშენებას. მიშენებული ფართი კონსტრუქციულად დამოუკიდებელია. საპროექტო ფართის ფუნქცია განსაზრვრულია, როგორც საოფისე.

- საოფისე ფართობისთვის მინიჭებულია **საქმიანი ჯგუფი სქ**, რაც შეესაბამება 304-ე ქვეთავს.

- დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორად (დდფ), 1004.1.2 ცხრილის მიხედვით აღებულია **9.3 (მთლიანი).**

- ზემოაღნიშნული ფაქტორის მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (დ.დ): **778,5 კვ.მ. / 9,3 დ.დ.ფ = 83,7 დ.დ = 84 დ.დ.**

3 . კონსტრუქციის ტიპების შეფასება

- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით, საპროექტო შენობისთვის შერჩეულია II-A ტიპის კონსტრუქცია.

- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხები კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს შემდეგი სახით:

✓ ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 1 სთ.

✓ მზიდი კედლები გარე/ შიგა ----------1 სთ.

✓ იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 1 სთ.

✓ სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 1 სთ.

- გარე კედლების ცეცლმედეგობა შეესაბამება 602-ე ცხრილის მოთხოვნებს, შემდეგი სახით:

ფასადი ღერძებში	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მ)	პროექტით გათვალისწინებულ დაკავებულობის ჯგუფისთვის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნა
“16-11” ღერძებში	1.924 – 2.164მ.	1 სთ
“I-G” ღერძებში	2.871 – 2.980მ.	1 სთ
„11-13’ „ ღერძებში	9<	0 სთ
„G-A” ღერძებში	9<	0 სთ
„13’ -16“ ღერძებში	3.815 – 3.93მ.	1 სთ

შენიშვნა/რეკომენდაციები:

- *II ტიპის კონსტრუქციაში შენობის ელემენტები არაწვადი მასალის უნდა იყოს.*
- *ზემოაღნიშნული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი გამოთვლილი უნდა იყოს ცეცხლმედეგობის ანგარიშის საფუძველზე.*

4. შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია 8.20მ. სიმაღლის, ერთ სართულიანი ფართის მშენებლობა (არსებულ შენობაზე ფართის მიშენება).
- მისაშენებელი ნაწილის საერთო ფართობი უტოლდება - 792.4 კვ.მ-ს
- სარეკონსტრუქციო შენობის (არსებული და მისაშენებელი ნაწილით) სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი, შენობის კონსტრუქციის ტიპიდან (II-A) გამომდინარე სრულად არის შესაბამისობაში 503-ე ცხრილთან.

5. ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებები:

- ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების მიხედვით არის დაანგარიშებული გარე კედლების ღიობების მაქსიმალური ფართობები და აღნიშნული აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს, შემდეგი სახით:

ფასადი ღერძებში	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მ)	ფასადზე გათვალისწინებული ღიობების ფართობის პროცენტულობა
“16-11” ღერძებში	1.924 – 2.164მ.	0%
“I-G” ღერძებში	2.871 – 2.980მ.	1%
„11-13’ „ ღერძებში	9<	13.2%
„G-A” ღერძებში	9<	18.6%
„13’ -16“ ღერძებში	3.815 – 3.93მ.	0%

- სქ ჯგუფის დაკავებულობები ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული ცეცხლმედეგი ტიხრებით, თანახმად 508.4 ცხრილისა.

- იმის გათვალისწინებით, რომ შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, საქმიანი ჯგუფის დერეფნებს არ მოეთხოვებათ ცეცხლმედეგობის ხარისხი, თანახმად 1018.1 პუნქტისა.

შენიშვნა-რეკომენდაციები:

- *ცეცხმედეგი ზღუდეები საძირკვლის ან იატაკ - ჭერის ანაწყობის თავიდან ქვემოთ იატაკის ქვედაპირამდე ან ზემოთ მდებარე სახურავის ფენილამდე, ფიცარფენილამდე ან ფილამდე უნდა გრძელდებოდეს და მათზე კარგად უნდა დამაგრდეს. ასეთი ცეცხლმედეგი ზღუდეები უწყვეტად უნდა გადიოდეს დამალულ სივრცეებში, მაგალითად შეკიდული ჭერის ზემოთ შექმნილ სივრცეში.*

6. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სიტეტმების შეფასება:

- წარმოდგენილ პროექტში, წესების მე-9 თავით გათვალისწინებული ხანძრისგან დაცვის აქტიური სისტემების საჭიროება არ საჭიროების საკითხი სწორად არის განსაზღვრული, კერძოდ:

✓ **ავტოსაშხეფი სისტემა** *(გათვალისწინებულია 903 ქვეთავის შესაბამისად):*

საკვლევი შენობა წარმოადგენს საოფისე შენობას და კლასიფიცირდება, როგორც სქ ჯგუფის დაკავებულობა. იმის გათვალისწინებით, რომ წესების 903.2.2 პუნქტი, სქ ჯგუფისთვის ავტოსაშხეფი სისტემის აუცილებლობას ადგენს მხოლოდ აბმულატორიული მოვლა-მზრუნველობის დაწესებულებებისათვის, მითითებული დაკავებულობის ჯგუფის მქონე შენობები არ საჭიროებს ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვას, თუმცა ვინაიდან შენობის ყველა ფასადზე მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრამდე დაშორების მანძილებიდან გამომდინარე, არ არის მოწყობილი ღიობები და ამასთანავე ორი მოპირდაპირე კედელი ერთმანეთისგან დაშორებულია 23 მეტრზე მეტად, აღნიშნული გარემოება გახდა მიზეზი მისაშენებელი ნაწილის ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვისა.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

- *ავტოსაშხეფი სისტემა შენობაში უნდა დაგეგმარდეს და დამონტაჟდეს NFPA 13-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტის შესაბამისად.*

✓ **სახანძრო მილდგარების სისტემები** *(არ არის გათვალისწინებული 905 ქვეთავის შესაბამისად):*

აღნიშნული წესები სახანძრო მილდგარების სისტემების დაყენების აუცლებლობას ითხოვს შენობაში, რომლის ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მ-ით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან ან თუ ყველაზე დაბლა მდებარე სართულის იატაკის დონე 9,0 მ-ით დაბლაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე მაღალი დონიდან. ვინაიდან საპროექტო შენობა ერთ სართულიანია და მისი იატაკის დონე არ არის 9 მეტრზე მაღლა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ წესები სქ ჯგუფის დაკავებულობის ჯგუფისთვის ცალკე არ ადგენს მილდგარების მოწყობის აუცილებლობას, საპროექტო შენობა არ საჭიროებს აღნიშნული სისტემით აღჭურვას.

✓ **ხელის ცეცხლმაქრები** *(გათვალისწინებულია 906 ქვეთავის შესაბამისად):*

906-ე ქვეთავი მოითხოვს სქ ჯგუფისთვის ხელის ცეცხლმაქრების განთავსებას. დამკვეთის მიერ წარმოდგენილი პროექტის და შესაბამისი წესების ანალიზის მიხედვით პროექტით გათვალისწინებულია 5 (ხუთი) A კლასის ხელის ცეცხლმაქრების განთავსება. მათი რაოდენობა და მდებარეობა სრულად შეესაბამება 906.3(1)-ე ცხრილის მოთხოვნებს.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

- *პორტატული ცეცხლსაქრობები უნდა შეირჩეს NFPA 10-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტის შესაბამისად.*
- *პორტატიული ცეცხლსაქრობები უნდა განთავსდეს შესამჩნევ ადგილებში, რათა მათთან მისვლა და დაუყოვნებლივ გამოყენება ადვილი იყოს. ასეთი ადგილებია ჩვეულებრივი სავალი ბილიკების გასწვრივ, თუ სახანძრო-სამაშველო დანაყოფი არ დაადგენს, რომ არსებული საფრთხის გამო ცეცხლსაქრობები ჩვეულებრივი სავალი ბილიკებიდან მოშორებით უნდა განთავსდეს.*
- *პორტატიული ცეცხლსაქრობები არ უნდა განთავსდეს ძნელად დასანახ ადგილებში. თუ ოთახებში ან ფართობებზე პორტატიული ცეცხლსაქრობების დანახვას რაიმე აბრკოლებს, უნდა არსებობდეს სპეციალური მინიშნებები, რომლებიც ცეცხლსაქრობების მდებარეობაზე მიუთითებს.*
- *ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომლებიც არ არის მოთავსებული კარადებში, უნდა ჩამოიკიდოს საკიდებზე ან განთავსდეს ბრჯენებზე. საკიდები და ბრჯენები კარგად უნდა დამაგრდეს საყრდენ ზედაპირზე მწარმოებლის მითითებების შესაბამისად*
- *პორტატიული ცეცხლსაქრობების განსათავსებელი კარადები არ უნდა იკეტებოდეს.*

✓ **სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები** *(არ არის გათვალისწინებული 907 ქვეთავის შესაბამისად):*

907.2.2 პუნქტის თანახმად, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა უნდა მოეწყოს სქ ჯგუფის დაკავებულობებში, სადაც იატაკის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 500 კაცს და მეტს, ასევე შენობიდან გამოსასვლელის ზემოთ ან ქვემოთ 100 ადამიანზე მეტია. ზემოაღნიშნულ არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება შენობის საპროექტო ნაწილი, შესაბამისად, მას არ მოეთხოვება სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფის მონტაჟი.

✓ **საავარიო განგაშის სისტემები** (არ არის გათვალისწინებული 908 ქვეთავის შესაბამისად):

წესები საავარიო განგაშის სისტემების მოწყობას მოითხოვს მხოლოდ ისეთ შენობებში, სადაც ნახშიროჟანგის წარმოქმნის პროტენციური საშიშროებაა. იქიდან გამომდინარე, რომ საკვლევი პროექტი წარმოადგენს საოფისე შენობას და მასში არ არის გათვალიწინებული ისეთი პროცედურების განხორციელება და ასევე ისეთი დანაგარების მოწყობა, რომლებიც წარმოქმნის CO-ს, შენობა არ საჭიროებს მითითებული სისტემით აღჭურვას. ყოველივე ზემოაღნიშნული შეესაბამება 908-ე ქვეთავს.

✓ **კვამლის საკონტროლო სისტემები** (არ არის გათვალისწინებული 909 ქვეთავის შესაბამისად):

საპროექტო შენობა, თავისი სპეციფიკიდან და ტიპიდან გამომდინარე არ საჭიროებს არცერთი კვამლის საკონტროლო სისტემის მოწყობას.

7. გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, შენობაში შესვლა-გამოსვლა ხორციელდება სამი გზა-კარის საშუალებით, რაც შეესაბამება და აღემატება კიდეც 1015-ე ქვეთავით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნას.
- შენობაში შესასვლელი ორ აუცლებელ გასასვლელ გზა-კარს შორის დაშორების პრინციპი შესაბამისობაშია 1015.2.1-ე პუნქტის მოთხოვნასთან.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, რომელიც იზომება სართულის საზღვრებში მდებარე ყველაზე მოშორებული წერტილიდან გასასვლელისკენ სავალი ნებისმიერი თარაზული და შვეული, ბუნებრივი და ჩაუხერგავი ბილიკის გასწვრივ გასასვლელში შესასვლელამდე, აკმაყოფილებს 1016.2-ე ცხრილით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

- გასასვლელი საშუალებების (ამ შემთხვევაში კარის) გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად, შენობაში გათვალისწინებულ თითოეულ ფართისთვის, მათში არსებული დაკავებულობების დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის 5.1 მმ ფაქტორზე. ზემოაღნიშნული გამოთვლით მიღებულია დასაშვებ მინიმუმზე (0.82მ) ნაკლები სიგანის კარი, თუმცა თითოეულ ფართში შესასვლელი კარის ღიობის სუფთა სიგანე (კარის ჩარჩოს და 90 გრადუსით გაღებული კარის ფრთის სიგანის გამოკლებით) არამც თუ უტოლდება წესებით განსაზღვრულ მინიმუმს, არამედ აღემატება მას.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

- *შენობაში თარაზულად ან შვეულად მოსრიალე დამცავი გისოსების მოწყობის შემთხვევაში გაითვალისწინეთ, რომ ისინი უნდა იღებოდეს შიგნიდან გასაღების ან სპეციალური ცოდნისა თუ ძალდატანების გარეშე, იმ დროის განმავლობაში, როდესაც შენობა დაკავებულია. გისოსები მთლიანად ღია პოზიციაში უნდა დარჩეს საზოგადოების მიერ შენობის დაკავების პერიოდში. გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის გზაკარების, არა უმეტეს, ნახევარს უნდა ჰქონდეს თარაზულად ან შვეულად მოსრიალე დამცავი გისოსები.*

8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (შშმპ) შენობის ყველა სივრცეში მისაწვდომობას.

- იქიდან გამომდინარე, რომ შენობის იატაკი არ არის გრუნტის ზედაპირის დონეზე განთავსებული და ნიშნულებს შორის სხვაობა 20სმ-ია, შენობის ორ შესასვლელთან გათვალისწინებულია შშმ პირთათვის პანდუსის მოწყობა. პანდუსის ქანობიც უტოლდება 8%, რაც თავისთავად აკმაყოფილებს 1010.3-ე პუნქტის მოთხოვნას.

- პანდუსის სიგანე აკმაყოფილებს 1010.6.1-ე პუნქტის მოთხოვნებს.

- პანდუსზე განთავსებული სახელურები პასუხობს 1012-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- პროექტის გეგმაზე ასახულია მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირთა მისაწვდომობას შენობის ყველა ნაწილში.

- შენობაში გათვალისწინებული ტუალეტი ისეა დაგეგმარებული, რომ მისაწვდომია შშმპ პირთათვის. აღნიშნული შესაბამისობაშია 1109.2.1.6 პუნქტების მოთხოვნებთან.

9. წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- საპროექტო მისაშენებელ ფართში გათვალისწინებულია შემდეგი ტიპის და რაოდენობის წყალსადენი სისტემები:

- 4 (ერთი) უნიტაზი, 3 (ერთი) ხელსაბანი, 1 (ერთი) სამომხარებლო ნიჟარა.

- ასევე ყველა საოფისე სივცეში გათვალისწინებულია თითო წყლის დასალევი დანადგარი.

- ზემოაღნიშნული წყალსადენების რაოდენობა სრულიად შეესაბამება 1602.1 ცხრილით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს.

- პროექტით გათვალისწინებულ ტუალეტში, ერთ-ერთი უნიტაზის კაბინასთან სივრცე ისეა დაგეგმარებული, რომ მისაწვდომია შშმ პირთათვის.

- არცერთ წყალსადენთან მისადგომი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მ-ს, რაც აკმაყოფილებს 1602.3.2 პუნქტის მოთხოვნას.

10. სახურავის ანაწყობებების შეფასება;

- 601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (II-A ტიპი) გამომდინარე, სახურავის კოსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს გააჩნია მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

- შენობის სახურავი ორქანობიანია და და მისი ქანობი უტოლდება 6%-ს.

- სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის B კლასს, თანახმად ცხრილი 1505.1ა (B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას).

- სახურავის მოწყობა დაგეგმილია ლითონის ფერმაზე. სახურავის ბურულად გამოყენებულ იქნება სენდვიჩპანელები, პროფნასტილის ზედაპირით, რომლის ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა #74/ ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა #72-ში, შ.პ.ს „M სერვისი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დაპროექტებული საოფისე შენობის არქიტექტურული დოკუმენტაცია შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან.

ასევე ვადასტურებთ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებულ არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტები: ვერა ზაგაშვილი:

თამთა სულავა:

თარიღი: 26.09.17წ.

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

BACHELOR'S

DIPLOMA

BA № 000445

This is to certify that by the decision September 20, 2007.

of the Architecture, Urban Planning and Design faculty

of the Technical University of Georgia

Ms. Vera Zagashvili

born on July 8, 1986.

was awarded an academic Degree of Bachelor with Major in

Architecture

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi April 24, 2008. Registration No 00404

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბაკალავრის

დიპლომი

BA № 000445

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2007 წლის 20. 9 გადაწყვეტილებით

ვერა ზაგაშვილს

დაბადებულს 1986 წლის 8 ივლისს

მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ა

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 24/04/2008 სარეგისტრაციო # 00404

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
APOLLON KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

#07/14-539

27 03 2015

ცნობა

თამთა სულავა 2006 წლის 2 სექტემბერს №003 ს/ხ ბრძანების საფუძველზე ჩაირიცხა სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრიატის I სემესტრში. 4 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, 2010 წლის 13 აგვისტოს №112 ს/ხ ბრძანების საფუძველზე დაიცვა სადიპლომო ნამუშევარი და მიენიჭა არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

რექტორი გიორგი გუგუშვილი

საქართველო, 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, ტელ: (+995 320) 2 936 959, ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 934 665
22, Griboedov str. 0108, Tbilisi, Georgia, tel : (+995 32) 2 936 959, tel/fax: (+995 32) 2 934 665, www.art.edu.ge

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017 –039

გადაეცემა

ვერა ზაგაშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო"

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017 – 040

გადაეცემა

თამთა სულავას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

თბილისის არქიტექტურა

15.05.17 № 12-13/390

№

ც ნ ო ბ ა

ეძლევა თამთა სულავას (პირადი №01026015533) მასზედ, რომ იგი 2010 წლის 02 აგვისტოდან დღემდე ნამდვილად მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ხოლო დღეის მდგომარეობით იკავებს I და II კლასის შენობა – ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობას.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლევან გოროზია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქსი: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

თბილისის არქიტექტურა

15.05.17 № 12-13/389

№

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ვერა ზაგაშვილს (პირადი №01008020599) მასზედ, რომ იგი 2009 წლის 05 აგვისტოდან დღემდე ნამდვილად მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ხოლო დღეის მდგომარეობით იკავებს I და II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობას.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლ. გოროზია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქსი: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge